PwC საქართველო საგადასახადო და სამართლებრივი სიახლეები

5 მარტი 2019

ცვლილება საქართველოს შრომის კოდექსში

2019 წლის 19 თებერვალს პარლამენტმა საქართველოს შრომის კოდექსში შეიტანა შემდეგი ცვლილებები:

დისკრიმინაცია წინა სახელშეკრულებო ეტაპზე

- საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით, შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია. განხორციელებული ცვლილებით, დაკონკრეტდა წინასახელშეკრულებო ეტაპზე დისკრიმინაციის მაგალითები, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და კანდიდატის შერჩევისას დისკრიმინაცია.

ხელშეკრულების უკანონოდ შეწყვეტა

- აგრეთვე, აიკრძალა დასაქმებულისთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ან/და მის მიმართ ნებისმიერი სახის უარყოფითი მოპყრობა, მასზე ზემოქმედება იმ მიზეზით, რომ დასაქმებულმა დისკრიმინაციისაგან დასაცავად განცხადებით ან საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოს ან ითანამშრომლა მასთან.

ხელშეკრულების დადებამდე ინფორმაციის მოპოვება

- ცვლილების თანახმად, დამსაქმებელი უფლებამოსილია მოიპოვოს კანდიდატის შესახებ ინფორმაცია, გარდა:
  - იმ ინფორმაციისა, რომელიც არ არის დაკავშირებული სამუშაოს შესრულებასთან;
  - არ არის საჭირო კანდიდატის მიერ სამუშაოს შესრულების შესაძლებლობის შესაფასებლად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.
- აგრეთვე, დამსაქმებელს უფლება არ აქვს კანდიდატს მოსთხოვოს მისი რელიგიის, რწმენის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური კუთვნილების, ორსულობის შესახებ ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა როცა არსებობს განსხვავების აუცილებლობა.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2019 წლის 01 მარტი

საქართველოს მთავრობის დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი- მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების - სურსათის ეტიკეტირების წესის შესახებ“

2019 წლის 1 მარტს ამოქმედდა ტექნიკური რეგლამენტი „მომხმარებლებისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების- სურსათის ეტიკეტირების წესის შესახებ.“

პროდუქტები, რომლებზეც ვრცელდება რეგლამენტი

- რეგლამენტი ვრცელდება საბოლოო მომხმარებლისთვის განკუთვნილ სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სურსათზე.
- რეგულაციის მიხედვით, სურსათის შესახებ სავალდებულო ინფორმაცია მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

ეტიკეტზე დასატანი სავალდებულო ინფორმაცია

- დასახელებას (სახეობას) და მის შემადგენლობას, თვისებებს ან სხვა მახასიათებლებს;
- მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვასა და სურსათის უვნებელ მოხმარებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;
- სურსათის შემადგენლობის დახასიათებას, რომელიც შესაძლებელია საზიანო იყოს მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფებისათვის;
- ვარგისიანობის, შენახვის და უვნებელი გამოყენების ვადას;
- ჯანმრთელობაზე ზეგავლენის ხარისხს, მათ შორის რისკებსა და შედეგებს, რაც დაკავშირებულია სურსათის საზიანო და სახიფათო გამოყენებასთან;
- ინფორმაციას კვებითი ღირებულების შესახებ;

- სურსათის შესახებ ინფორმაცია არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი.

სავალდებულო ინფორმაციასთან დაკავშირებული ტექნიკური მოთხოვნები

- სავალდებულო ინფორმაცია დატანილი უნდა იქნას გამოსაჩენ (შესამჩნევ) ადგილზე , უნდა იყოს მკაფიო, შეუძლებელი უნდა იყოს მისი წაშლა. ინფორმაცია სრულად ან ნაწილობრივ არ უნდა იყოს გადაფარული სხვა ნებისმიერი წარწერით, გრაფიკული გამოსახულებით ან სხვა მასალით, რომელიც შეუძლებელს გახდის ინფორმაციის აღქმას.

- სურსათის შესახებ სავალდებულო ინფორმაცია წარდგენილი უნდა იყოს მათ შორის ქართულ ენაზე. დასაშვებია სხვა ენების გამოყენებაც.

სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება და წესის დარღვევა

- მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესის დარღვევა გამოიწვევს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ბიზნეს ოპერატორის დაჯარიმებას 200 ლარის ,სხვა ბიზნეს ოპერატორების 400 ლარის ოდენობით.

- იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით 1 წლის განმავლობაში, – გამოიწვევს დაჯარიმებას 600 ლარის ოდენობით.

წყარო: სურსათის ეროვნული სააგენტო, 2019 წლის 1 მარტი

პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის ანგარიში

2019 წლის 1 მარტს გამოქვეყნდა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ 2018 წლის ანგარიში.

პირდაპირი მარკეტინგის წესების დარღვევა

- ანგარიშში ყურადღება დაეთმო პირდაპირი მარკეტინგის საკითხს. ანგარიშის თანახმად, იმისთვის, რომ შეთავაზება პირდაპირ მარკეტინგად ჩაითვალოს, საკმარისია ადრესატისთვის ისეთი შეთავაზება, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად სთავაზობს უფასო ან ფასიან საქონელს, მომსახურებას და/ან დასაქმებას.

- ანგარიშში ნათქვამია, რომ პრაქტიკაში პრობლემატურია შეტყობინებების მიღებაზე უარის თქმის მექანიზმის არარსებობა ან არასათანადოდ ფუნქციონირება. ამასთან, ხშირია, როდესაც უარის თქმის მექანიზმის შეტყობინების ტექსტი ნათლად არ ასახავს მისი გამოყენების პროცედურას.

წყარო: პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის ანგარიში, 2019 წლის 2 მარტი

ჩვენ მოხარული ვიქნებით მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მითითებულ ცვლილებებს თქვენს საქმიანობაზე.

PwC საქართველო კლიენტებს სთავაზობს ინტეგრირებულ აუდიტორულ, საგადასახადო, იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებებს. PwC-ის ქსელი მსოფლიოს მასშტაბით შედგება 250 000 პროფესიონალისგან, რომლებიც დასაქმებული არიან 158 ქვეყნის 756 ოფისში.

სერგი კობახიძე
დირექტორი, საგადასახადო და იურიდული პრაქტიკა
E-mail: sergi.kobakhidze@pwc.com
ტელ: + 995 32 250 80 50

PwC საქართველოს **საგადასახადო მომსახურების** ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურებებს, სატრანსფერო ფასწარმოქმნის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, საგადასახადო დავებში წარმომადგენლობას, საერთაშორისო დაბეგვრის საკითხებთან მიმართებით კონსულტაციებს, საგადასახადო სტრუქტურირებას და სხვ.

ვანო გოგელია
იურიდიული მომსახურება
E-mail: vano.gogelia@pwc.com
ტელ: + 995 32 250 80 50

PwC საქართველო **იურიდიული მომსახურების** ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საკორპორაციო, სახელშეკრულებო საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივ დახმარებას, კომპანიათა რეორგანიზაციას, კონკურენციის სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, სასამართლოში წარმომადგენლობას, სამშენებლო, შრომის და სხვა სამართლებრივ მომსახურებებს. ჩვენ წარმოვადგენთ ყველაზე ფართო გეოგრაფიული დაფარვის მქონე იურიდიული მომსახურების ქსელს მსოფლიოში 3,500 იურისტით 100-ზე მეტ ქვეყანაში.